ხელშეკრულება N 20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი 6 თებერვალი 2017 წ.

ერთის მხრივ **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **ავთანდილ მიქანაძის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „აუდიტი და კონტროლი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **გია ტუხაშვილის** სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:
1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. „მხარე“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. „მხარეები“ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.
ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“**

მიმწოდებელი **შპს „აუდიტი და კონტროლი“**

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") - ნიშნავს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 ქვეპუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.5 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.6 „დღე", „კვირა", „თვე"- ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში აუდიტორული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის" 2016 წლის ანგარიშგების (ბალანსის) ფინანსური აუდიტი - შემოწმება („სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 36[4] მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით);

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV 79200000; 79212000.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება 2017 წლის 6 თებერვლიდან - 2017 წლის 28 თებერვლამდე.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი - გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი მე-17 კმ.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს და 00 თეთრს, დღგ-ს ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

5.4 შესყიდვა ხორციელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის **2017 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში.**

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.2 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო ერთჯერადად ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს ოდენობით, ასევე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 8. ხელშეკრულების კონტროლის - ინსპექტირების პირობები

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხი.

8.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტი ან ნაკლი.

8.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებებისაგან.

8.4 კონტროლს - ინსპექტირებას განახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეკონომიკური სამსახურის უფროსი - მზია მეტრეველი.

8.5 კონტროლი - ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების ხარისხისა და ვადების კონტროლს.

მუხლი 9. მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი

9.1 მიმწოდებლის მიერ მომზადებული დასკვნა გადაეცემა შემსყიდველს **წერილობითი და ელექტრონული ფორმით.**

9.2 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია მის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად შეადგინოს აუდიტორული დასკვნა და გადასცეს შემსყიდველს.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ.

ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 12. ხელშეკრულების დადების საფუძველი

ხელშეკრულების დადების საფუძველი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში მისი გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 1 აპრილის ჩათვლით.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

14.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.

14.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ (შეწყვიტონ) წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, რომელთაგან ერთი პირი გადაეცემა „მიმწოდებელს“, ხოლო ორი პირი რჩება „შემსყიდველთან“.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი“,
საიდ.კოდი: 204 493 262
მის.გარდაბნის მუნიციპალიტეტი, რუსთავის გზატკეცილი
მე-17 კილომეტრი
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში
ბ/კ TRESGE22
ა/ა 200122900

ავთანდილ მიქანაძე
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „აუდიტი და კონტროლი“
საიდ.კოდი: 401952856
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, IV კვ. კორპ. 1ა, ბ N5
ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE57BG 0000 0008 9257 7100

გია ტუხაშვილი
დირექტორი

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები

ქ. რუსთავი

6 თებერვალი 2017 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ აუდიტორული მომსახურების (CPV 79200000; 79212000) შესყიდვის მიზნით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავთანდილ მიქანაძე

დირექტორი

გია ტუხაშვილი

დირექტორი

მზია მეტრეველი

ეკონომიკური სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ დუჩიძე

შესყიდვების კოორდინატორი